წერილის ნომერი: **18-01213473379**
თარიღი: **13/12/2021**
პინი: **3568**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-0121337974
წერილის თარიღი:	03 დეკემბერი, 2021
განმცხადებელი:	მამია ჯაში
განაცხადის N	AR1863772
მისამართი	ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) ''დოსააფი'' -ს შენობის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.17.14.003.002
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის № 414 თარიღი: 07 სექტემბერი, 2021
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	10000
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ''ბალავარი პროპერთის''
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: ინფორმაციული	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს

ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

სამსახურმა 12/8/2021 #18-0121342862 წერილით უკვე დააფიქსირა პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-0121342862**
თარიღი: **08/12/2021**
პინი: **9751**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-0121333629
წერილის თარიღი:	29 ნოემბერი, 2021
განმცხადებელი:	მამია ჯაში
განაცხადის N	AR1863095
მისამართი	ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) ’’დოსააფი“ -ს შენობის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.17.14.003.002
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის № 414 თარიღი: 07 სექტემბერი, 2021
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	10000
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ’’ბალავარი პროპერთის“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“

ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 160 ძირი ნერგი (20 ძირი იტალიური ფიჭვი, 50 ძირი ჰიმალაის კედარი, 24 ძირი მარადმწვანე მუხა, 27 ძირი კავკასიური ცაცხვი, 25 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 14 ძირი მჩხვლეტავი ნაძვი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3000 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/



წერილის ნომერი: **0121207740**
თარიღი: **26/07/2021**
პინი: **5955**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 8 ივლისის №01211893590-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.17.14.003.002, 01.17.14.003.790, 01.17.14.003.787 და მიმდებარე დაურეგისტრირებელი სივრცე; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), საცხოვრებელი ზონა და სატრანსპორტო ზონა 1 (ცზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-6, ცზ-1 და სარეკრეაციო ზონა 1; გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: სარეკრეაციო ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **81 ძირი** (№3; №18; №22-24; №26-28; №29-41; №43; №45; №49; №51-55; №58-60; №63; №66; №74; №83-87; №91-108; №111; №113-120; №122-126; №138-146) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილკენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და მხოლოდ 13 მათგანის დიამეტრი აღემატება 12 სანტიმეტრს, მათი მოჭრა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ სამსახური განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში მსჯელობს მხოლოდ იმ მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ მდებარეობს სამშენებლო არეალში და ხელს უშლის პროექტის განხორციელებას. გამომდინარე იქიდან, რომ №01.17.14.003.787 საკადასტრო ერთეულზე მოსაჭრელად/გადასარგავად მოთხოვნილი **22 ძირი** (№4-10; №12; №42; №46-47; №50; №69-72; №109-110; №112; №121; №128-129) მწვანე ნარგავი არ მდებარეობს სამშენებლო არეალში, განმცხადებელმა, აღნიშული მწვანე ნარგავების მოჭრის/გადარგვის ნებართვის მოსაპოვებლად სხვა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა მიმართოს მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის ნებართვის გამცემ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **5 ძირი** (№15-17; №25; №44) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

დამატებით, №01.17.14.003.787 საკადასტრო ერთეულზე აღწერილი **2 ძირი** (№48; №127) **დაფნის** მოჭრის საკითხთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №190 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს „წითელი ნუსხის" თანახმად, დაფნა განეკუთვნება წითელი ნუსხის სახეობას. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აღნიშნული წესი არ ვრცელდება ,,საქართველოს წითელი ნუსხისა'' და ,,წითელი წიგნის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული მწვანე ნარგავების მოპოვებაზე (ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე). შესაბამისად, აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრის საკითხთან დაკავშირებით განმცხადებელმა უნდა მიმართოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 2 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1^1 პუნქტისა და 21^2 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **2 ძირი** (№1-2) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთან გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვავებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული:** 7 ძირი, **გადასარგავი:** 11 ძირი და **საპროექტოდ დასარგავი:** 44 ძირი იტალიური ფიჭვი, 108 ძირი ჰიმალაის კედარი, 48 ძირი მარადმწვანე მუხა, 45 ძირი კავკასიური ცაცხვი, 25 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 13 ძირი ევროპული მუხა, 8 ძირი ზეთის ხილი, 38 ძირი მჩხვლეტავი ნაძვი **ჯამში - 347 ერთეული**) სრულად ითვისებს დადგენილი გამწვანების (კ 3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(6 197.4 მ^2).**

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

მრავალფუნქციონალური საცხოვრებელი სახლები.

ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“ -ს შენობის მიმდებარედ ს/კ 01.17.14.003.002 არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი -10000.00 მ^2

დენდროლოგიური პროექტი

დენდროლოგი გიორგი ტივაძე

თბილისი

2021

დენდროლოგიური პროექტის გეგმა







დენდროლოგიური პროექტი

ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“ -ს შენობის მიმდებარედ ს/კ 01.17.14.003.002 არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი -10000.00 მ²

გასამწვანებელი ფართობი - 3000 მ²

დასარგავია სულ160 ხე-მცენარე მათ შორის:

1.იტალიური ფიჭვი-pinus pinea-20 ძირი.

2. ჰიმალაის კედარი-(Cedrus deodara)-50 ძირი

3.მარადმწვანე მუხა-(Quercus ilex)-24 ძირი

4.კავკასიური ცაცხვი-(Tilia caucasica)-27 ცალი.

5.მინდვრის ნეკერჩხალი-(Acer campestre)-25 ცალი.

6.მჩხვლეტავი ნაძვი-(picea pungens)-14ცალი.

დასარგავ ხეებს შორის მანძილი უნდა იყოს 4მ.

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
1	იტალიური ფიჭვი(Pinus pinea)	20 სმ.	12 წ.	3.0 მ.	გვალვაგამძლე, სწრაფმოზარდი	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
2	ჰიმალაის კედარი- Cedrus deodara	20 სმ.	15 წ.	3.0 მ.	გვალვაგამძლე, სწრაფმოზარდი	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
3	მარადმწვანე მუხა- Quercus ilex	14 სმ.	16 წ.	3,5 მ.	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი.	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
4	კავკასიური ცაცხვი- Tilia caucasica	20 სმ.	14 წ.	3,5 მ.	ჩრდილოს მოყვარული, საშუალოდ მზარდი.	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
5	მინდვრის ნეკერჩხალი-Acer campestre	20 სმ.	16 წ.	3.5 მ.	ჩრდილის მოყვარული, სწრაფად მზარდი.	

N	დასახელება	ღეროს გარშემოწერილობა	ხნოვანება	სიმაღლე	მახასიათებლები	
6	მჩხვლეტავი ნაძვი-picea pungens	20 სმ.	16 წ.	3,0მ.	ჩრდილის ამტანი, ნელა მზარდი	

ხე-მცენარეების დარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებულ უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0.5-0.9 მ. - ით მეტი, ხოლო სიმაღლე 0.2-0.25 მ. - ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
2. ამოღებულ ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან;
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
6. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისგან;
7. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
8. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
9. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღეროს ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;

10. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
11. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
12. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე

ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა-გაფხვიერება-განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები.

მწვანე მოლის დათესვა – 2000მ^2

მოლს ჰყოფენ ორ ძირითად ჯგუფად: დეკორატიული და სასპორტო. ჩვენს შემთხვევაში გამოიყენება დეკორატიული მოლი. დასათესად გამოიყენება მრავალწლოვანი კოინდარი, რომელიც კარგად ხარობს, როგორც ღია მზიან, ისე დაჩრდილულ ადგილებში, უყვარს ნოყიერი ნიადაგი. ნათესარი სწრაფად ვითარდება და პირველსავე წელს იძლევა ელასტიურ და კარგად შეკრულ მოლს.

ნიადაგის მომზადება მოლისათვის

დეკორატიული მოლის მისაღებად უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნიადაგის მომზადება და მისი ზედმიწევნით კარგად დამუშავება, რაზედაც დამოკიდებულია მოლის ხარისხი და გამძლეობა. ამისათვის საჭიროა შეიქმნას ხელოვნურად ნიადაგი შემდეგი თანაფარდობით: 1/3 ტორფი, 1/3 ორგანული სასუქი და 1/3 ტყის

ნეშომპალიანი მიწა(გაცრილი). ნიადაგი უნდა გაიშალოს ფართობში არა ნაკლებ 15-20 სმ-ისა.

თესვის ვადა და წესი

ნიადაგის შეტანის შემდეგ, ხელის ფოცხით ხდება მისი გასწორება და სარეველების მოცილება. თესვის ყველაზე ხელსაყრელი დროა გაზაფხული (მარტი,აპრილი) ან გვიანი შემოდგომა. თესვა ხდება ხელით, თესლის მობნევით, წყნარ უქარო ამინდში. თესლი თანაბრად რომ განაწილდეს ფართობზე, დასათესი თესლი იყოფა ორ თანაბარ ნაწილად და თესვა ხდება ორი მიმართულებით, გარდიგარდმო. ერთი კილოგრამი კოინდარი ითესება 15-20 მ^2 ფართობზე. თესვის დამთავრების შემდეგ საჭიროა თესლის წაბურვა-ჩაფვლა, ხელის ფორცხით 0.5-2 სმ სიმაღლეზე. წაბურვის შემდეგ აგროტექნკური თვალსაზრისით აუცილებელია მოთესილი ფართობის მსუბუქი საგორებელი სატკეპნით დატკეპნა, რის შემდეგაც აუცილებელია მორწყვა. ჩვენს შემთხვევაში 2100 მ^2 ფართობის მოსათესად საჭიროა 140 კგ. თესლი.

მოლის მოვლა

მოლის კარგი მოვლა განაპირობებს ბალახის ნორმალურ ზრდა-განვითარებას, მოუვლელობის შედეგად მარცვლოვანი ბალახი იჩაგრება და იდევნება ფართოფოთლოვანი სარეველებისაგან, ხოლო მწირ და მჟავე ნიადაგზე ჩნდება ხავსი, მოტიტვლებული ადგილები.

თანაბარი, ლამაზი და მწვანე ბალახნარის მისაღებად, საჭიროა მოლის ბალახის დროული და სისტემატიური თიბვა, რის შემდეგ მცენარე უკეთ ბარტყობს და იქმნება შეკრული და მკვრივი კორდი. თიბვის შემდეგ მცენარე ინვითარებს ყლორტებს, ხოლო ერთწლიანი სარეველა ბალახები ისპობა. მოლის გათიბვა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მცენარე მიაღწევს სიმაღლეში 10-12 სმ-ს. ფართობის გათიბვა უნდა მოხდეს თვეში 4-6 ჯერ. განსაკუთრებულ რეგულარულ რწყვას მოითხოვს მოლი დათესვის შემდეგ გაღივების პერიოდში და ბალახის აღმოცენების პირველ ხანებში. მორწყვა უნდა მოხდეს ყოველდღიურად დილით ადრე და საღამოს. მორწყვითი პროცედურები წარმოებს მანამ სანამ ნიადაგის ზედა ფენა არ გაიჟღინთება 5-12 სმ. სიღრმემდე. გვალვიან რაიონებში მთელი სეზონის განმავლობაში 1მ^2 მოლის მოსარწყავად საშუალოდ 0,8-1მ^3 წყალია საჭირო.

პროექტი შეადგინა: ექსპერტი გიორგი ტივაძე

დენდროლოგიური პროექტი
საინფორმაციო დაფა



ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“ -ს შენობის მიმდებარედ ს/კ 01.17.14.003.002 არასასოფლო-სამუერნეო, ფართობი -10000.00 მ^2

--- --- ---

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისისი მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური;

--- --- ---

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი 2021 წელი, დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 2024 წელი.

--- --- ---

გასამწვანებელი ფართობი 3000 კვ.მ; ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები არ ფიქსირდება.

--- --- ---

დასარგავია სულ160 ხე-მცენარე მათ შორის :



1.იტალიური ფიჭვი-pinus pinea-20ძირი.
2. ჰიმალაის კედარი-(Cedrus deodara)-50ძირი
3.მარადმწვანე მუხა-(Quercus ilex)-24 ძირი
4.კავკასიური ცაცხვი-(Tilia caucasica)-27 ცალი.
5.მინდვრის ნეკერჩხალი-(Acer campestre)-25 ცალი.
6.მჩხვლეტავი ნაძვი-(picea pungens)-14ცალი.

--- --- ---

ხე-მცენარეების სიმაღლე 3.5 მ.; დაშორება 4 მ.; ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ.

--- --- ---

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი: მამია ჯაში, პ.ნ 01024005877

--- --- ---

გასაშენებელი ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა - 3 წელი

ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **20 სექტემბერი 2020 წ.**

მისამართი:

ქალაქი თბილისი , ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.)"დოსაფი" -ს მიმდებარედ;

საკადასტრო კოდი:

01.17.14.003.002 ;

ფართობი:

10000. 00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შ.პ.ს „ბალავარი პროპერთის", ID ნომერი:405121381

მოგახსენებთ, რომ მიწის ნაკვეთზე(ს.კ 01.17.14.003.002) ურბანული სამსახურის მიერ დადებული შუალედური პასუხის შემდეგ შემოწმდა ტერიტორია,სადაც პირვანდელ ტოპოზე არსებული ორი ხე-ნარგავი არ აღმოჩნდა. შესაბამისად ჩემს მიერ გაიცა დასკვნა ჩემს მიერ ნარგავების არ არსებობასთან დაკავშირებით ,რასაც თან დაერთო სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა.

დამკვეთის ახსნა განმარტებიდან და ტერიტორიაზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აღინიშნება ხანძრის კვალი როგორც მოცემულ ასევე მომიჯნავე საკადასტრო ერთეულზე, რაც უთუოდ არის ხეების არ არსებობის მიზეზი. ტერიტორიის გადამოწმების შემდეგ გაკეთდა ახალი ტოპო ხე ნარგავების გარეშე, რის შედეგად დაიდო ჩემი დასკვნა ხე ნარგავების არ არსებობასთან დაკავშირებით. ამიტომ საჭიროა ძველი ტოპოგრაფიული გეგმის ჩანაცვლება ახლით.

ასევე ღსანიშნავია, რომ ხეების არ არსებობა არ იწვევს ეჭვს უკანონო ჭრასთან დაკავშირებით, რადგან ტერიტორიის გაბარიტები და ხეების რაოდენობა ვერშეუშლიდა ხელს პროექტირებას

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტი არის რელიეფურად ვაკე. საკვლევი ტერიტორია ნახანძრალია. აღწერა შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. ზემოთ მითითებულ მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე ხე- მცენარეები არ არის. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ექსპერტი: გიორგი ტივაძე







მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა

ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) "დოსააფი"-ს შენობის მიმდებარედ (ს/კ: 01.17.14.003.002)
შპს "ბალავარი პროპერთის" (ს/ნ: 405121381) საკუთრებაში არსებული 10000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა	ხის ღობე	წყალგაყვანილობა	
არასაცხ. შენობა	ლითონის ღობე	გაზი	
ფარდული	ქვის კედელი	კანალიზაცია	
მშენებარე შენობა	კედელი	სანიაღვრე	
წიწვოვანი ხე	ფლატე	კავშირგაბმულობა	
ფოთლოვანი ხე	რკინიგზა	ელ. ქსელები	
ხილკენკროვანი	სამეთვალყურეო ჭები	გათბობა	
მცენარე/ პალმა გარე განათება	ელ. გადამცემი ხაზი		

შენიშვნა:1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები
2) ვინადან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შპს "ბალავარი"

თანამდებობა:	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი:	ი. მაღრაძე	
აზომა:	ა. ავანაშვილი	
დახაზა:	ა. ავანაშვილი	

მასშტაბი	1:500	პროექტი
თარიღი	2020	A-3
სტადია	ფურცელი	ფურცლები
ა.პ.		

BALAVARI "BALAVARI" LTD 200269583 GEORGIA